SAKAERONAVIGATSIA ltd
საქართველოს საჰაერო ნავიგაცია

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით ზაფხულის სამუშაო ქურთუკის, შარვლის და საწვიმარი ლაბადის შესყიდვის

სატენდერო დოკუმენტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი
2016 წელი

პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

ა)პრეტენდენტის რეკვიზიტებს (დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, საკონტაქტო პირის/ების სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი).

ბ) სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1-ის „ფასების ცხრილის“ შევსებულ ფორმას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საქონლის მოდელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მწარმოებელი კომპანია, წარმოშობის ქვეყანა, ერთეულის და საერთო ღირებულება;

გ)შემოთავაზებულ საქონელზე მწარმოებლის მიერ გაცემულ საქონლის ტექნიკურ სპეციფიკაციებს (ასეთად ჩაითვლება მწარმოებელი კომპანიის ან მისი ოფიციალური წარმომადგენლობის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი ან პროდუქციის კატალოგი, აგრეთვე მწარმოებელი კომპანიის ან მისი წარმომადგენლობის ოფიციალური ვებ-გვერდიდან მოპოვებული ინფორმაცია, რომელშიც მოცემული იქნება საქონლის ტექნიკური აღწერილობა, ან ოფიციალური ვებ-გვერდის ბმული. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ვებ-გვერდი უნდა იყოს ინგლისურენოვანი).

სატენდერო წინადადებას ხელს უნდა აწერდეს პრეტენდენტის ხელმძღვანელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი (ამ შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნეს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი).

<u>**სატენდერო წინადადების ფასი**</u> (ლარებში) წარმოდგენილი უნდა იყოს მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების სრულ შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა (მათ შორის საქონლის ტრანსპორტირება) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით (გარდა დღგ).

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა შესაძლებელია დასაბუთდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ მესამე პირთან გაფორმებული ხელშეკრულებით ან/და ანგარიშფაქტურით/ინვოისით (ან მასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტით), რომლითაც დადასტურდება პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა. პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს (ატვირთოს) ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

<u>**მიწოდების პირობები**</u>**:** მიმწოდებელმა საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან **45 დღის ვადაში**.

მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, აეროპორტი, შპს "საქაერონავიგაცია" 0198.
საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს ერთიანად. მიწოდებულ საქონელზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება სავალდებულოა.

<u>წინასწარი ანგარიშსწორება ტენდერში არ გამოიყენება.</u>

<u>ალტერნატიული სატენდერო წინადადება არ განიხილება.</u>

<u>**შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 5370 ლარს (დღგ-ს გარეშე).**</u>

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, დღგ გათვალსწინებული იქნება ხელშეკრულების ღირებულებაში.

ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. დასაშვებია დოკუმენტაციის ინგლისურ ენაზეც წარმოდგენა. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია თანდართული იყოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

ტენდერის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისგან: ქეთევან მეხუზლა – 2 744 477 (265).

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ქ. თბილისი ——————— 2016 წელი

ერთის მხრივ, შპს "საქაერონავიგაცია" (შემდგომში, შემსყიდველი) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, გოჩა მეზვრიშვილის სახით და მეორეს მხრივ, ——————————— (შემდგომში, მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის ——— სახით, ელექტრონული ტენდერის (SPA#) ჩატარების შედეგად ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს **ზაფხულის სამუშაო ქურთუკის, შარვლის და საწვიმარი ლაბადის** შესყიდვა, შემსყიდველის ტექნიკური დავალების (დანართი №2) და პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

1.2. დანართები №1 და №2 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: **18200000.**

1.4. რესურსის მოთხოვნის განაცხადი: №310-16.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ-ს.

3. მიწოდების წესი და ინსპექტირება

3.1. მიმწოდებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან **45 დღის ვადაში**.

3.2. მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი საქონლის მიწოდების მომენტში. ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს: დაზუსტდება ხელშეკრულების გაფორმებისას

3.3. საქონლის მიწოდება დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

<u>4.1 „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას:</u>

4.1.1. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

4.1.2. საკუთარი სახსრებით გამოასწოროს ყველა დეფექტი, აღმოჩენილი საქონლის მიწოდების დროს.

4.1.3. გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

<u>4.2 „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:</u>

4.2.1. მოითხოვოს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

<u>4.3. „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას:</u>

4.3.1. აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

<u>4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:</u>

4.4.1. განახორციელოს კონტროლი საქონლის ხარისხზე საქონლის მიწოდებისას.

4.4.2. განახორციელოს კონტროლი ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

4.4.3. განაცხადოს უარი საქონლის მიღებაზე მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში, ასევე თუ მიწოდებული საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტექნიკურ მახასიათებლებს.

5. ანგარიშსწორებისა და მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ერთიანად, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში. ამასთან მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

5.2. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი

5.3. გადახდის ფორმა: უნაღდო.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის, მაგრამ არაუმეტეს ჯამური ღირებულების 10 %-სა.

6.2. ანგარიშსწორების წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის, მაგრამ არაუმეტეს ჯამური ღირებულების 10 %-სა.

6.3. მხარეებს ყოველთვის აქვთ უფლება მოითხოვონ ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა

მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. დავების გადაწყვეტა

8.1. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება სასამართლოში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. სხვა პირობები

9.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის . . . . . მდე.

9.2. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9.3. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზედაც მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 3 დღით ადრე.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან

დანართი № 1

ფასების ცხრილი

საქონლის დასახელება, მოდელი (არსებობის შემთხვევაში)	მწარმოებელი კომპანია, წარმოშობის ქვეყანა	რაოდენობა	ერთეულის ღირ-ბა	მთლიანი ღირ-ბა
1	2	3	4	5

დანართი № 2

ტექნიკური დავალება

საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა
1	2	3
ზაფხულის სამუშაო ქურთუკი	მოკლე სამუშაო ქურთუკი, რომელიც უნდა იყოს შავი ან მუქი ლურჯი ფერის, ჰქონდეს 2 შიდა და 2 (არანაკლებ) გარე ჯიბე, ელვა შესაკრავი, ბამბის შემცველობა: 30%-დან 50%-მდე, პოლიესტერის შემცველობა: 55%-დან 70%-მდე.	12 ცალი
ზაფხულის სამუშაო შარვალი	ბამბის შემცველობა: 30%-დან 50%-მდე, პოლიესტერის შემცველობა: 55%-დან 70%-მდე. ჯიბეების რაოდენობა: არანაკლებ 6 ჯიბე. ღილებზე შესაკრავი. ფერი მუქი ლურჯი ან შავი.	12 ცალი
საწვიმარი ლაბადა	წყალგაუმტარი მატერიისგან დამზადებული, სწორი სილუეტის, სიგრძით მუხლს ქვემოთ. გრძელ სახელოიანი, სახელოს დაბოლოება რეზინიანი მანჟეტი, კაპიშონით. ფერი შეთანხმებით.	83 ცალი

ზომები

საქონლის დასახელება	რაოდენობა				სულ
	L	XL	2XL	3XL	
ზაფხულის სამუშაო ქურთუკი	2	2	8		12
ზაფხულის სამუშაო შარვალი	2	2	8		12
საწვიმარი ლაბადა	15	18	35	15	83